KA021718885122818


**სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო**

**NATIONAL AGENCY OF STATE PROPERTY**

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა
ტელ:(+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi,Georgia
Tel: (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge


N5/60552

31 / ოქტომბერი / 2018 წ.

**შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“**

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში შემოსული თქვენი 11.09.2018 წლის N01/050 (11.09.2018წ. N94725/ფ) წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის 05.10.2018წ. N4666 წერილით წარმოდგენილი პოზიციის გათვალისწინებით, სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წინააღმდეგი, შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯია“-სთვის აღნაგობისა და იჯარის უფლებით გადაცემულ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მდებარე 10 (ათი) ერთეულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N28.24.25.029; N28.24.25.028; N28.24.25.035; N28.24.25.026; N28.24.25.030; N28.24.25.025; N28.24.25.032; N28.24.25.031; N28.24.25.034; N28.24.25.036;), თქვენი წერილით წარმოდგენილი დანართის შესაბამისად განახორციელოთ არაწითელი ნუსხის სახეობის მინიმალური რაოდენობის ხე-მცენარის მოჭრა უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით და იმ პირობით, რომ ზემოაღნიშნული ქმედების განხორციელების შედეგად სახელმწიფოს არ წარმოეშობა რაიმე სახის ვალდებულება და ზიანი არ მიადგება სახელმწიფო ქონებას.

ამასთან გაცნობებთ, რომ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის $29^{1}$ მუხლისა და ,,ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილების მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განხორციელებული ჭრების, სახელმწიფო ტყის ფონდიდან ამორიცხულ ტერიტორიაზე განხორციელებული ჭრებისა და სპეციალური ჭრების შედეგად მოპოვებული მერქნული რესურსი დაუკოტრავი სახით, სახეობების მიხედვით, საწყობდება სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მითითებულ ტერიტორიაზე და მისი ამავე სააგენტოსათვის გადაცემა ხდება ჭრის განხორციელების უფლების მქონე პირსა და სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით.

აქვე გაცნობებთ, რომ „წითელი ნუსხით“ დაცული მცენარეების ბუნებრივი გარემოდან ამოღება რეგულირდება "საქართველოს "წითელი ნუსხისა" და "წითელი წიგნის" შესახებ" საქართველოს კანონით.

დანართი: 1 ფურცელი

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

**ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად**

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
კორესპონდენციის მართვის სამსახური
LEPL "NATIONAL AGENCY OF STATE PROPERTY"

ირაკლი შენგელია